პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО
Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

16 აგვისტო
ოთხშაბათი,
1961 წ.
№ 122 (1758)
გამოცემის მე-18 წელი.
ფასი 2 კაპ.

## მათ დიდი მომავალი აქვთ

16 წლის წინათ გმირმა კორეე-
ლმა ხალხმა თავი გაინთავისუფლა
პონელი დამპყრობლებისაგან და
ამყარა სახალხო-დემოკრატიუ-
ლი რესპუბლიკა, რამაც დასაბამი
სცა ამ ქვეყნის მშრომელი ხალ-
ხის ბედნიერ ცხოვრებას. 16 წლის
მანძილობაში კორეელი ხალხი
ენერგიის დაუზოგავად იბრძვის
თავისი სამშობლოს აყვავებისათვის
— მრეწველობის, სოფლის მეურ-
ნეობისა და კულტურის განვითა-
რებისათვის.

აქ დიდი ყურადღება ექცევა
მშრომელთა ფიზიკურად გაკაჟების
საქმეს. ამიტომ იყო, რომ კორეის
სახალხო-დემოკრატიულ რესპუბ-
ლიკად გამოცხადების პირველი
დღიდანვე ქალაქებსა და სოფლებში
ფართოდ გაიშალა სპორტული ბაზე-
ბის მშენებლობა, რამაც საშუალება
მისცა ამ ქვეყნის ახალგაზრდობას
ჩაბმულიყო ფიზკულტურულ-სპო-
რტულ მუშაობაში. ამან მალე ნა-
ყოფი გამოიღო. კორეელი სპორტ-
სმენები მასობრივად მონაწილეობ-
დნენ სხვადასხვა საინტერესო შე-
ჯიბრებაში, სადაც ათიათასობით
გოგონამ და ჭაბუკმა მოიპოვა სპო-
რტის ოსტატის, თანრიგოსნის წო-
დება. ამ ფაქტმა საშუალება მის-
ცა აქაურ სპორტის ხელმძღვანე-
ლებს უძლიერესი სპორტსმენებით
დაკომპლექტებული გუნდები გაე-
გზავნათ სხვადასხვა ქვეყანაში სა-
ერთაშორისო ამხანაგური მატჩების
მოსაწყობად. კორეელ სპორტსმე-
ნებს გაეცნენ და დაუმეგობრდნენ
საბჭოთა კავშირის, პოლონეთის, საფ-
რანგეთის, რუმინეთისა და სხვა სა-
ხელმწიფოთა ახალგაზრდები.

რესპუბლიკაში დიდი პოპულა-
რობით სარგებლობს მძლეოსნობა.
ამიტომ არის, რომ სისტემატურად
ივსება რესპუბლიკის რეკორდე-
ბის ცხრილი. მთელ მსოფლიოში
სახელი გაითქვა მძლეოსანმა ქალმა
სინ კიმ დანმა, რომელმაც მაღალი
ოსტატობით, ჯერ კიდევ გასულ
წელს, მოხიბლა მოსკოველი სპორ-
ტის მოყვარულები. გამოდიოდა რა
ძმები ზნამენსკების სახელობის ჯი-
ლდოზე, მან სასტიკი წინააღმდე-
გობა გაუწია ძლიერ მეტოქეებს
800 მეტრზე რბენაში, ხოლო მიმ-
დინარე წელს ფხენიანში მოწყობილ
მძლეოსანთა შეჯიბრებაში ამ დის-
ტანციაზე აჩვენა ფენომენალური
შედეგი — 2.1,2 და 3,1 წამით გა-
აუმჯობესა მსოფლიო რეკორდი.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ
მოკლე ხანში ამ ქვეყნის სპო-
რტსმენები, გუნდები უფრო დიდ
გამარჯვებებს მოიპოვებენ.

## მეორე წრის შეხვედრების წინ

20 აგვისტოს თბილისში, მოსკო-
ვსა და ლენინგრადში დაიწყება კა-
ლათბურთელთა საკავშირო ჩემპი-
ონატის ფინალური ტურნირის
მეორე წრის შეხვედრები. რვა უძ-
ლიერესი კოლექტივი ჩაებმება სა-
ბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს
მედლებისათვის გადამწყვეტ ბრძო-
ლაში.

თბილისელი დინამოელები პირ-
ველ მატჩს ჩაატარებენ საბჭოთა კა-
ვშირის არაერთგზის ჩემპიონთან და
ევროპის ჩემპიონთა თასის ყოფილ
მფლობელთან — რიგის არმიელთა
კოლექტივთან. ეს შეხვედრა გა-
იმართება 20 აგვისტოს თბილისში,
სპორტის სასახლეში. მომდევნო
შეხვედრასაც დინამოელები სპო-
რტის სასახლეში გამართავენ. აი
მათი კალენდარი: 25 აგვისტო —
„დინამო" (თბილისი)-სკაფი (კი-
ევი), 28 აგვისტო — „დინამო" (თბი-
ლისი)-„ჟალგირისი" (კაუნასი), 30
აგვისტო — „დინამო" (თბილისი)-
ცსკა (მოსკოვი), 9 სექტემბერი —
„დინამო" (თბილისი)-„დინამო"
(მოსკოვი). ამის შემდეგ დინამოე-
ლები გაემგზავრებიან ლენინგრად-
ში, სადაც გამართავენ ორ შეხვედ-
რას — ლენინგრადის „სპარტაკთან"
(13 სექტემბერს) და ლენინგრადის
„ბურევესტნიკთან" (16 სექტემ-
ბერს).

სხვაგვარი სისტემით ტარდება
ქალთა გუნდების ფინალური ტუ-
რი. მეორე წრის შეხვედრებს ისი-
ნი ჩაატარებენ ერთ ქალაქში —
კიშინიოვში. საქართველოს პოლი-
ტექნიკური ინსტიტუტის ქალთა
გუნდის მატჩების კალენდარი ასე-
თია: 10 სექტემბერი — სპი (თბი-
ლისი)-„ტრუდი" (მოსკოვი), 11
სექტემბერი — სპი (თბილისი)-
ტტტ (რიგა), 12 სექტემბერი —
„დინამო" (მოსკოვი)-სპი (თბილი-
სი), 14 სექტემბერი — სპი (თბი-
ლისი)-უსკა (ტარტუ), 15 სექტემ-
ბერი — „ბურევესტნიკი" (ლენინ-
გრადი)-სპი (თბილისი), 17 სექტემ-
ბერი — სპი (თბილისი)-სკა (ლენინ-
გრადი), 18 სექტემბერი — სკიფი
(ლენინგრადი)-სპი (თბილისი).

ფინალური ტურნირის პირველი წრის შემდეგ ოქროს მედლებისათვის მებრძოლი გუნდების მდგომარეობა სატურნირო ცხრილებში ასეთია:

### გათამაშების ცხრილები

**ვაჟები**

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ცსკა მოსკოვი | 7 | 7 | 0 | 7 |
| „დინამო" მოსკოვი | 7 | 5 | 2 | 5 |
| სკიფი კიევი | 7 | 5 | 2 | 5 |
| „დინამო" თბილისი | 7 | 4 | 3 | 4 |
| სკა რიგა | 7 | 4 | 3 | 4 |
| „ბურ". ლდ. | 7 | 2 | 5 | 2 |
| „ჟალგირისი" კნ. | 7 | 1 | 6 | 1 |
| „სპარტაკი" ლდ. | 7 | 0 | 7 | 0 |

**ქალები**

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| სკა ლენინგრადი | 7 | 6 | 1 | 6 |
| ტტტ რიგა | 7 | 6 | 1 | 6 |
| „ბურ". ლდ. | 7 | 5 | 2 | 5 |
| „ტრუდი" მოსკოვი | 7 | 4 | 3 | 4 |
| უსკა ტარტუ | 7 | 3 | 4 | 3 |
| სკიფი ლენინგრადი | 7 | 2 | 5 | 2 |
| სპი თბილისი | 7 | 1 | 6 | 1 |
| „დინამო" მოსკოვი | 7 | 1 | 6 | 1 |



მხატვრული ტანვარჯიში



ფოტოეტიუდი ი. იუნაევისა.

# ნუ მივჩქმალავთ ნაკლოვანებებს

ჩვენი გაზეთის 10 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა სპორტის ოსტატ ქ. დარასელიას წერილი „კვლავ მეექვსე ადგილზე". ავტორი იუწყებოდა სასტენდო სროლაში საკავშირო პირველობის ამბებს და ანალიზს უკეთებდა საქართველოს ნაკრები გუნდის გამოსვლას. ამ წერილმა სპორტულ საზოგადოებრიობაში და კერძოდ, მესტენდეებთა შორის უკმაყოფილება გამოიწვია. ჩვენ მივიღეთ რამდენიმე წერილი, სადაც აღნიშნული იყო, რომ ქ. დარასელიას მოსაზრება მე-6 ადგილზე გამოსვლის მიზეზზე — ახალგაზრდების დაბალი შედეგები და ძირითადში გუნდის არასათანადო წვრთნა — არ არის მართალი.

ჩვენ დარასელიას ვიცნობთ, როგორც მოწინავე მესტენდურეს. რამდენჯერმე გამოვაქვეყნეთ მისი წერილი საქართველოში სასტენდო სროლის განვითარების შესახებ. მაგრამ, ვინაიდან რედაქციაში შემოსული წერილების ავტორები დამაჯერებლად ამტკიცებენ დარასელიას ანალიზის მცდარობას, გადავწყვიტეთ საფუძვლიანად გამოგვერკვია საქმე და მკითხველებისათვის დაგვენახვებია, თუ ვინაა ნამდვილად დამნაშავე საქართველოს მესტენდურეთა ტრადიციულ ჩავარდნაში.

საკავშირო პირველობებში მონაწილე ჩვენი რესპუბლიკის გუნდი დაკომპლექტებული იყო უძლიერესი მესტენდურეებით. აღგილიდან სროლაში გამოდიოდნენ სპორტის ოსტატები ზ. მაჩხანელი, ი. საგანელიძე, ქ. დარასელია, ა. ოვსეპიანი. მრგვალ სტენდზე მსროლელთა გუნდის შემადგენლობაში იყვნენ სპორტის ოსტატები ბ. ანტონოვი, ბ. მეგრელაძე, ბ. სეგალევიჩი, ლ. სიმონიანი. მათს გარდა კომპლექსური ჩათვლისათვის გამოდიოდნენ ახალგაზრდა პირველთანრიგოსნები — ტ. ელენტი და ო. ნუკრაძე.

რა შედეგები აჩვენეს გუნდებმა და ცალკეულმა მსროლელებმა? მრგვალ სტენდზე მსროლელებმა III საპრიზო ადგილი დაიკავეს. შესაძლებლობაზე გაცილებით დაბლა გამოვიდნენ ადგილიდან მსროლელები, რომელთაგან ვერც ერთმა ვერ გაიმეორა ოსტატის ნორმატივი. ეს მაშინ, როცა საკუთარ მოედანზე ისინი ქულათა მაქსიმუმს აგროვებდნენ. 200 შესაძლებლიდან ზ. მაჩხანელმა დაკარგა 19 ქულა, ი. საგანელიძემ — 24, ქ. დარასელიამ—19, ა. ოვსეპიანმა — 22. ამის შედეგად ადგილიდან მსროლელთა გუნდი (პირველთანრიგოსანი მსროლელის ტ. ელენტის ჩაუთვლელად) მხოლოდ V ადგილით დაკმაყოფილდა, როცა III ადგილზე გასვლის რეალური შანსი არსებობდა.

თუ ამ ციფრებს დავუკვირდებით, ადვილად შევამჩნევთ, რომ ახალგაზრდები აქ არაფერ შუაში არ არიან. რა უნდა მოვთხოვოთ ტ. ელენტსა და ო. ნუკრაძეს, როცა გამოცდილი მესტენდურეები ზ. მაჩხანელი, ქ. დარასელია, ი. საგანელიძე, ა. ოვსეპიანი ასეთი დაბალი შედეგით გამოვიდნენ. ამიტომ მართებული იქნებოდა ქ. დარასელიას თავის თავზე და თავის კოლეგებზე აელო აქცენტი და მკითხველისათვის ეამბნა თუ რატომ ასე დაუსჯელად მიფრინავდნენ ჰაერში მათვის გაშვებული სამიზნეები.

გამოირკვა, რომ ჩვენი მესტენდურე ვაჟები ჯერ კიდევ იანვარში შედგომიან ვარჯიშს. თბილისსა და სოხუმში ჩატარებულ შეჯიბრებებზე მაღალი შედეგებიც უჩვენებიათ. შემდეგ მოსკოვში შეჯიბრების დაწყებამდე მათი აკლიმატიზაციისა და წვრთნის მიზნით ჩატარებულა წინასწარი მეცადინეობა. ასეთი სისტემატური ვარჯიში და შეჯიბრებები ჩვენ სპორტის სხვა სახეობებში ნაკლებად გვქონდა და მაინც ვერ ავცდით მე-6 ადგილს. საკავშირო შეჯიბრებაზე ნაჩვენები დაბალი შედეგის მიზეზი ის არის, რომ ჩვენს სტენდებზე თეფშების ფრენის სისწრაფე ნაკლებია, ვიდრე მოსკოვისაზე, ჩვენ სტენდებზე ნაჩვენებმა მაღალმა შედეგმა თვითდამშვიდება გამოიწვია მსროლელებში.

საერთოდ საჭიროა სასტენდო სროლის ფედერაციამ გადახედოს თავის კადრებს, გამოავლინოს, ვის შესწევს რესპუბლიკის ღირსებისათვის ბრძოლის უნარი. საფუძვლიანად შეისწავლოს საქართველოს მონადირეთა კავშირის მსროლელთა სექციის მუშაობა, წვრთნის მეთოდები და სექციის შემადგენლობა.

სასტენდო სროლა საბჭოთა კავშირის ხალხთა III სპარტაკიადის პროგრამაში შედის. მაშასადამე საჭიროა ამ უბანზე არსებულ ნაკლოვანებათა გამომზეურება და არა მიჩქმალვა, სხვაზე გადაბრალება. მკაცრი ანალიზი უნდა გავუკეთოთ ჩვენს შედეგებს საკავშირო პირველობაზე და საქმე ისე მოვაწყოთ, რომ სასტენდო სროლა ერთხელ და სამუდამოდ გაუთანაბრდეს სპორტის მოწინავე სახეობებს.

## წოდებათა მინიჭება

ფიზკულტურის დარგში მრავალი წლის მანძილზე ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა საქართველოს ... „ფიზკულტურის წარჩინებული" დააჯილდოვა: გ. პ. დვალი — სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მწვრთნელი, გ. ვ. ქუთათელაძე — ავჭალის შუშის ქარხნის დირექტორი, რ. გ. მარქაროვი — მაუდ-კამვოლის კომბინატის საზოგადოებრივი მწვრთნელი.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიანიჭა: კალათბურთში — ჯ. ხ. ნატრიაშვილს (თბილისი, „ბურევესტნიკი"), ს. ი. აკოფოვს („სპარტაკი"), ძალოსნობაში—ა. ხ. ვართანოვს („სპარტაკი"), თავისუფალ ჭიდაობაში—ვ. დ. შახბაზოვს („შრომითი რეზერვები"), ჭადრაკში — ი. ძ. ლოლუას (ფოთი, „სპარტაკი").

## ს. დორის მსოფლიო რეკორდი

ფილადელფიაში მოწყობილ აშშ-ის ღია ჩემპიონატზე ცურვაში შესანიშნავი წარმატება მოიპოვა სიუზანა დორმა, რომელმაც 100 მეტრი ბატერფლაის სტილით დაფარა 1 წუთსა და 8,2 წამში. ეს შედეგი ახალი მსოფლიო რეკორდია.

# ერთიანი საკავშირო სპორტულ[ი] კლასიფიკაცია

1961-1964 წლებისათვის

★ ★ ★ ★ ★

## მშვილდოსნობა

შენიშვნა: 1. თვითეული სერია განისაზღვრება სამი ისრის ტყორცნით, გარდა სავარჯიშო „ДД-2“-ისა, სადაც სერია შედგება ექვსი ისრისაგან.

2, სავარჯიშოების ЮД-1-ის, КД-1-ისა და КД-2-ის დროს. სროლა წარმოებს 100 სანტიმეტრი დიამეტრის მქონე ათწრიან № 3 სამიზნეზე, რომელიც გამოიყენება 300 მეტრზე ტყვიით სროლისათვის. დანარჩენი სავარჯიშოებისათვის იხმარება სპეციალური ათწრიანი ფერადი სამიზნეები, რომელთა დიამეტრია 80 სმ — 30 და 50 მეტრზე სროლის დროს; 122 სმ — 60, 70 მეტრზე სროლის დროს.

3. სროლის განრიგი: შორი მანძილიდან ახლომდე და მხოლოდ ერთი მიმართულებით.

**დამატებითი მოთხოვნები**

1. სათანრიგო ნორმატივების შესრულება ეთვლებათ სპორტსმენებს, [...] ნაწილეობდნენ არანაკლებ შემდე[...] გი რაოდენობის შეჯიბრებებ[...] I თანრიგი — 7-ჯერ, II თანრ[იგი] — 6-ჯერ, III თანრიგი — 5-ჯ[ერ], ჭაბუკთა I თანრიგი — 4-ჯერ, მო[...] ზარდთა II თანრიგი — 3-ჯერ.

2. I თანრიგის ნორმატივის შ[ე]სრულება ჩაითვლება არანაკლ[ებ] საქალაქო მასშტაბის შეჯიბრებ[...] ნაჩვენები შედეგების მიხედვ[ით], II, III და მოზარდთა თანრიგის[...] ნებისმიერი მასშტაბის ოფიც[ია]ლურ შეჯიბრებაზე ნაჩვენები შ[ე]დეგების მიხედვით.

3. შეჯიბრებებზე ნორმატივებ[ის] შესრულება ჩაითვლება იმ შემთ[ხ]ვევაში, თუ მსაჯთა კოლეგიის შ[ე]მადგენლობაშია კვალიფიცირებ[ული] მსაჯთა შემდეგი რაოდენობა:

ა) I თანრიგი — პირველი კატ[ე]გორიის ერთი (არანაკლებ უფრო[...]სი მსაჯის თანამდებობაზე) და II კატეგორიის ორი მსაჯი.

ბ) II თანრიგი — II კატეგ[ო]რიის ერთი (არანაკლებ უფრ[ო]სი მსაჯის თანამდებობაზე) და II[I] კატეგორიის ორი მსაჯი.

გ) III და მოზარდთა თანრიგებ[ი] — III კატეგორიის ორი მსაჯ[ი].

## სათანრიგო მოთხოვნები

| სავარჯიშოების ინდექსი | სავარჯიშო | სროლის მანძილი (მეტრებში) | საერთო რაოდენობა | ისართა რაოდენობა | ფარის დიამეტრი (სმ-ებში) | თანრიგი I | თანრიგი II | თანრიგი III | მოზარდთა I | მოზარდთა II |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **ვაჟები** | | | | | | | | | |
| ЮД-1 | მოკლე მანძილებზე სროლა | 20 | 10 | 30 | 100 | — | — | — | 200 | 510 |
| КД-1 | მოკლე მანძილებზე სროლა | 30 | 12 | 36 | 100 | — | — | 200 | — | — |
| КД-2 | მოკლე მანძილებზე სროლა | 50+30 | 12+12 | 72 | 100 | — | 405 | 320 | — | — |
| СД-1 | საშუალო მანძილებზე სროლა | 70+50+30 | 12+12+12 | 108 | 122 და 80 | 580 | 470 | 350 | — | — |
| ДД-1 | შორ მანძილებზე სროლა | 90+70 | 12+12 | 72 | 122 | 290 | 215 | 145 | — | — |
| ДД-2 | შორ მანძილებზე სროლა (ორ წრედ) | 2(90+70) | 2 (6+6) | 144 | 122 | 500 | 370 | 260 | — | — |
| М-1 | საერთაშორისო (ერთ წრედ) | 90+70 და 50+30 | 48×3 | 144 | 122 და 80 | 700 | 550 | — | — | — |
| | **ქალები** | | | | | | | | | |
| ЮД-1 | მოკლე მანძილებზე სროლა | 20 | 10 | 30 | 100 | — | — | — | 180 | 130 |
| КД-1 | მოკლე მანძილებზე სროლა | 30 | 12 | 36 | 100 | — | — | 190 | — | — |
| КД-2 | მოკლე მანძილებზე სროლა | 50+30 | 12+12 | 72 | 100 | — | 385 | 290 | — | — |
| СД-1 | საშუალო მანძილებზე სროლა | 60+50+30 | 12+12+12 | 108 | 122 და 80 | 550 | 440 | 320 | — | — |
| ДД-1 | შორ მანძილებზე სროლა | 70+60 | 12+12 | 72 | 122 | 260 | 185 | 115 | — | — |
| ДД-2 | შორ მანძილებზე სროლა (ორ წრედ) | 2 (70+60) | 2 (6+6) | 144 | 122 | 450 | 320 | 210 | — | — |
| М-1 | საერთაშორისო (ერთ წრედ) | 70+60 და 50+30 | 48×3 | 144 | 122 და 80 | 700 | 500 | — | — | — |

## მკითხველთა სიგნალები

### არ ჩატარებულა არც ერთი ღონისძიება

ქუთაისის კვანძის სადგურ რიონის ხელმძღვანელობას ფიზკულტურა და სპორტი მეორეხარისხოვან საქმედ მიაჩნია.

სადგურში მრავალ ახალგაზრდა რკინიგზელს დიდი სურვილი აქვს დაეუფლოს სპორტის სხვადასხვა სახეობას, მაგრამ ამაოდ, აქ ფიზკულტურული მუშაობა თვითდინებაზეა მიშვებული. არ მოქმედებენ სექციები, არ იძენენ სპორტულ ინვენტარს, არ ჩატარებულა არც ერთი სპორტული ღონისძიება.

კომკავშირულმა ორგანიზაციამ გამოიტანა დადგენილება კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნების მოწყობის შესახებ, მაგრამ დადგენილება დღემდე ქაღალდზე რჩება და მის შესრულებაზე არავინ ფიქრობს.

დროა სადგურის ადმინისტრაციამ, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა მიიღონ გადამჭრელი ზომები რკინიგზელ ახალგაზრდობას შორის ფიზკულტურული მუშაობის გასაშლელად.

**ი. ბუხაიძე**

### სად ვივარჯიშოთ?

ადიგენის რაიონის დაბა აბასთუმანის ძალოსნები რამდენიმე წელია გამოდიან როგორც ზონალურ, ისე რესპუბლიკურ პირველობებზე და კარგ ადგილებსაც იკავებენ, ეს მაშინ, როდესაც შეჯიბრების წინა სამზადისს მხოლოდ ერთი თვით ადრე იწყებენ. სავარჯიშო დარბაზი ძალოსნებს არ გაგვაჩნია. ბევრჯერ თხოვნით მივმართეთ სათანადო ორგანოებს, მაგრამ თხოვნა თხოვნად დარჩა, სავარჯიშო ადგილი კი არა გვაქვს.

**ნ. მამულაშვილი**

### წერილების კვალდაკვალ

1961 წლის 1 ივლისს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდა წერილი სათაურით—„შეჯიბრების ჩატარებას საფრთხე მოელის“—წერილი ეხებოდა სოხუმსა და ბათუმში საცურაო აუზების მშენებლობასა და კეთილმოწყობის საკითხებს. საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტიდან გვატყობინებენ, რომ ბათუმის საცურაო აუზის მშენებლობის დამთავრებისა და კეთილმოწყობისათვის მიღებულია სასწრაფო ზომები. ოქტომბრის თვეში ბათუმის საცურაო აუზი მზად იქნება წყალბურთელთა საკავშირო პირველობის ჩატარებისათვის.

აფხაზეთში რატომღაც სდუმან, ჩვენს გაზეთში მოთავსებულ წერილზე რა რეაგირება მოახდინეს ჯერ კიდევ არ ვიცით.

## ლიდერი შეიცვალა

ბათუმი. (ჩვენი სპეც. კორ.). კვირას XXIX საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირის მონაწილეებს გამოსასვლელი დღე ჰქონდათ. ისინი ინტერესით ეცნობოდნენ მზიური აჭარის დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს, მის ბაღებს, სკვერებს. ჩვეულებრივზე მეტი დრო გაატარეს ზღვაზე; მეორე დღეს, VI ტურში ახალი ძალით გაჩაღდა ბრძოლა ყველა შეხვედრაში.

— პრესმა როდესმე ხომ უნდა გაიხაროს, — გაგვიზიარა აჭარის მრავალგზის ჩემპიონმა გ. პან[...]რიამ, როცა ტურის წინ თვა[...] გადაავლო სატურნირო ცხრილ[...] პრესის ჩამწკრივებულ ნოლებს.

— დღეს მოიგებს.

— როიზმანთან? იგი ხომ ლ[იდე]რია?

ანაზდად თქმული გამართლ[და]. როიზმანმა ზერელედ გაითამ[აშა] სიცილიური დაცვა. მისთვის მო[უ]ლოდნელად პრესმა შესანიშნავ[ად] გამოიყენა როიზმანის შეც[დო]მები. მეთოდურ თამაშს მოჰ[ყვა] ძლიერი გამსვლელი პაიკი, რომ[ლის] ამოძრავებით პრესმა პირვე[ლი] გამარჯვება მოიპოვა, ხოლო რო[იზ]მანმა პირველი დამარცხება იგ[ემა]. ამასობაში მოსიონჟიკმა [...]ვილად აჯობა სუსტად მოთამ[აშე] არაქელოვს და თვითონ ჩაუდგ[ა] თავეში ლიდერთა ჯგუფს.

ლომაიამ მძაფრ კომბინაცი[ურ] ჭიდილში მოუგო ჰალილბეილ[...] ნეიმ — ზახარიანს, კალანტარმა [...] ანოხინს.

ბუსლაევმა ტაქტიკურ ბრძოლ[ა]ში ბაგიროვთან დაუშვა თავისი [...]ფის პოზიციის დასუსტება. აზ[...] ბაიჯანელმა ისტატურ[ად] გამოიყენა [...] უპირატესობა და გაიმარჯვა.

დაუმთავრებელი დარჩა გურ[...]ნიძე-პავლენკოს პარტია. ეტლ[ი]ს დაბოლოებაში ქართველ ოსტ[ატს] მოგების რეალური შანსები აქ[ვს].

VI ტურის შემდეგ მოსიონჟ[იკს] 5 ქულა აქვს.

### პირველ ადგილზე

ლვოვში დამთავრდა საკავ[შირო] პირველობა კალათბურთში გ[...] სამინისტროს პირველობაზე მო[...]ლეთა შორის. ამიერკავკასიის რ[კი]ნიგზის სახელს იცავდნენ ქუთ[აისის] მე-20 და 21-ე სკოლების მოს[წავ]ლეები.

ქუთაისის ქალთა გუნდმა მო[იგო] ყველა შეხვედრა, დაიკავა პირვე[ლი] ადგილი და მოიპოვა გარდამავ[ალი] თასი.

ჩვენი რესპუბლიკის კალათბ[ურ]თელთა გამარჯვებით აღნიშნა[...] რეთვე ვაჟთა გუნდების ტურნ[ირი]. მათ დაამარცხეს მოსკოვის, ბელ[ო]რუსიის, სვერდლოვსკის, კიშინ[ე]ვის გუნდები და დამსახურებულ[ად] დაიკავეს პირველი ადგილი.

**ვ. გოგორიშვილ[ი]**

## წერილები ყამირის მხარიდან

### IV. გაიმართა სოციალისტური შეჯიბრება

კოკჩეტავის ადგილობრივი სპორტული საზოგადოებებისა და უწყებების წარმომადგენლები ჩვენი ჩასვლის შემდეგ დაფაცურდნენ და ყოველნაირად ხელს გვიწყობდნენ ცენტრსა და პერიფერიებში ფიზკულტურული მუშაობის გაცნობისა და დახმარების საქმეში.

ჩვენ მოვინახულეთ ყიზილტუს რაიონის ჩერნიგოვსკის მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობა.

კეთილმოწყობილი სტადიონი, საგულდაგულოდ გაკეთებული მაყურებელთა ტრიბუნები, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები —თავისით მეტყველებენ აქ გაშლილ მუშაობაზე.

დელეგაციის ხელმძღვანელმა— „კოლმეურნეს“ რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორმა ო. ჩიქოვანმა მალე გამონახა საერთო ენა მეურნეობის დირექტორ ი. კოვალენკოსთან, რომელიც არა მარტო სპორტის გულშემატკივარია, არამედ ამ საქმის პროპაგანდისტიცაა და საუკეთესო მაგალითს თავისი ოჯახით იძლევა.

მისი ოთხივე ვაჟი მეურნეობის წამყვანი ფეხბურთელია და ხუმრობით ამ გუნდს „კოვალენკოების გუნდს“ ეძახიან.

სექციების მუშაობის ორგანიზაციულ და წვრთნის მეთოდურ საკითხებზე სემინარები ჩაატარეს ა. გვალიამ, ჰ. [...]აბეგოვმა, ა. წერეთელმა, შ. ბუაძემ და სხვებმა, რომლებმაც თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკული მითითებანიც მისცეს ადგილობრივ სპორტსმენებს. სპორტის გულშემატკივართა შორის განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობდა ფიზკულტურის ინსტიტუტის დიპლომანტი ა. წერეთელი, რომელიც მთელი დღის განმავლობაში ან სამსაჯო კოშკურაზე იჯდა, ან თვითონ უშუალოდ მონაწილეობდა თამაშში.

მეურნეობის დირექტორი კმაყოფილი დარჩა შეფების საქმიანობით და სთხოვა ო. ჩიქოვანს ოფიციალურად გაეფორმებინათ ამ მეურნეობისა და საქართველოს „კოლმეურნეს“. საშეფო მუშაობის ხელშეკრულება.

ქართველი სპორტსმენები ვალდებულებას იღებენ დაეხმარონ მეურნეობას მეთოდური სახელმძღვანელოებით, ინსტრუქტაჟით, ინვენტარით და სხვ. ჩერნიგოვსკელები კი კიდევ უფრო აამაღლებენ სპორტულ მუშაობას და უკვე ერთი წლის განმავლობაში ორასამდე „მშთ“ ნიშნოსანს და რამდენიმე ათეულ თანრიგოსან სპორტსმენს მოამზადებენ. გარდა ამისა, მეგობრები ყოველწლიურად გაცვლიან დელეგაციებს და მოაწყობენ ამხანაგურ შეხვედრებს.

უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯი და სპორტული მუშაობის გასაცნობად და ხელშეკრულების გასაფორმებლად ქართველ სპორტსმენთა დელეგაციას თბილისში გამოჰყვება მეურნეობის ფეხბურთელთა გუნდის მეკარე ი. კოვალენკო.

**გ. სამსონაძე**

ყამირი მიწების მხარე.



ეროვნული ბიბლიოთეკა



სურათზე: (მარცხნივ) რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი მოკრივე ნ. ქიქავა, რომელიც წარმატებით გამოდის პროფკავშირთა სპარტაკიადაზე, მერვედფინალური შეხვედრის დროს.

## თასი იუგოსლაველ ტანმოვარჯიშეს

ლიუქსემბურგში გაიმართა ევროპის თასი ტანვარჯიშში. ამ საინტერესო შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ჩვენი კონტინენტის უძლიერესი სპორტსმენები. განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად იუგოსლაველ სპორტსმენს მიროსლავ ცერარს, რომელმაც ორძელზე მიიღო შეფასება 9,65 ქულა, ღერძზე — 9,75, ტაიჭზე — 9,75, რგოლებზე — 9,65, ხტომებში — 9,6, ხოლო თავისუფალ ვარჯიშში — 9,65 ქულა. მრავალჭიდის ჯამში იუგოსლაველმა დააგროვა 58,05 ქულა და მოიპოვა ევროპის თასი. მეორე ადგილი დაიკავა საბჭოთა სპორტსმენმა ი. ტიტოვმა — 56,85, ხოლო მესამე—იტალიელმა ჯ. კარმინუჩიმ — 56,65 ქულა.

### ცხელ დღეებთან ა. ა. მოსკოვი!

# მიმდინარეობს პროფკავშირების VII სპარტაკიადა

(ჩვენი სპეც. კორ.). პროფკავშირთა VII საკავშირო სპარტაკიადა შევიდა დასკვნით ფაზაში. ყოველ ქულას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. შეხვედრები ყველა სახეობაში უაღრესი დაძაბულობით ხასიათდება — ჩვენი რესპუბლიკის სპორტულმა დელეგაციამ ყველაფერი გააკეთა საერთო გუნდურ ჩათვლაში მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, თუმცა გარღვევებსაც აქვს ადგილი.

საქართველოს კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდები ეთამაშებოდნენ ესტონელებს და ორივე შემთხვევაში დამარცხდნენ. წაგება მით უფრო დასანანია, რომ ორივე ამ შეხვედრაში გვქონდა მოგების შანსები; ვაჟები, რომლებიც VII-XII ადგილებისათვის იბრძვიან, ამ დღეს თამაშობდნენ ყოველგვარი ენთუზიაზმის გარეშე; მათ წააგეს ანგარიშით 56:71, ქალებმა — 66:69.

ცუდად გამოდიან კლასიკური სტილის მოჭიდავეები. 13 შეხვედრიდან მათ მხოლოდ 3 მოიგეს. ტუხულოვმა ქულებით მოუგო უკრაინელ ქიტინიოვს, გველესიანმა დაამარცხა ყირგიზელი კიზაევი, ხოლო ხაბეიშვილმა — ლიტველი კამენსკი. თავიანთი შეხვედრები ფრედ დაამთავრეს ა. კარიჭაშვილმა, ო. ეგაძემ, ა. სიხარულიძემ და ბოლოს ფ. გველესიანმა — საბჭოთა კავშირის ჩემპიონ ჩუჩალოვთან (ბელორუსია). ცუდად გაპოვიდა მეორე და მესამე წრეებში შ. სეფაშვილი. მან ორივე მოწინააღმდეგეს — ხითარიანს (მოსკოვი) და მალინიუკს (უკრაინა) დაუთმო უპირატესობა და შეჯიბრებიდან გამოვიდა.

კვლავ წარმატებით იბრძვიან თავისუფალი სტილის მოჭიდავეები. მათ II და III წრის 12 შეხვედრიდან 9 მოიგეს და მხოლოდ ერთში განიცადეს დამარცხება. ძლიერად ატარებენ შეხვედრებს ზ. ბერიაშვილი, ვ. ბათლიძე, ჯ. დავლიანიძე, გ. ბესტავაშვილი და ჩ. შეყრილაძე, რომლებსაც წაგება არ აქვთ და ინარჩუნებენ ჩემპიონობის მოპოვების შანსებს.

ბერიაშვილმა და ბათლიძემ კარგ სტილში დაამარცხეს გუსოვი (რსფსრ) და პავლიდი (აზერბაიჯანი). ბესტავაშვილმა ბეჭებზე დასცა შაქარიანი (სომხეთი).

მოჭიდავეებს არ ჩამორჩნენ ნიჩბოსნები. აქ პირველი დღის წარმატებებს ახალი გამარჯვებები მიუმატეს და შვიდიდან ოთხ სახეობაში გავიდნენ ფინალში: ქალთა ოთხადგილიან ბაიდარში 500 მეტრზე, ერთადგილიან ბაიდარში (ფ. ბაიდანოვა), ერთადგილიან კანოეში (ჯ. ხოშებაევი) და ვაჟთა შორის ერთადგილიან ბაიდარში (ვ. საზონოვი).

ძალოსანთა შეჯიბრებაზე თავი მოიყარა ჩვენი ქვეყნის ბევრმა უძლიერესმა სპორტსმენმა. აქ არიან ჩვენი ქვეყნისა და ოლიმპიური ჩემპიონები, მსოფლიო რეკორდსმენები. მსუბუქი წონის ძალოსანთა შეჯიბრებებზე ლენინგრადელმა ა. ქგუნმა ატაცში აჩვენა 129 კგ და გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი. მანვე გაიმარჯვა სამჭიდში — 387,5. საშუალო წონაში ჩემპიონი გახდა კურინოვი — 420 კგ. ასეთ გამოჩენილ სპორტსმენებთან ბრძოლაში, ცხადია, საქართველოს ძალოსნებს პირველ ადგილზე ფიქრი არ შეეძლოთ. მათ ამოცანას შეადგენდა გუნდისათვის ჩათვლის მიცემა. ექვსმა სპორტსმენმა: მსუბუქ წონაში — ნ. ინჯგიამ, პ. ლომიძემ და ლ. ბაბაიანმა, ხოლო ქვესაშუალოში — ვ. რადიმაშვილმა, კ. ჩალათაშვილმა და გ. კოჩიევმა ამოცანა წარმატებით შეასრულეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია გ. კოჩიევის წარმატება. მან სამჭიდში მოაგროვა 387,5 კგ და პირველად შეასრულა ოსტატის ნორმა.

ვერაფრით გაგვახარეს მოკრივეებმა. პირველ დღეს 10 წონითი კატეგორიიდან 6 გამოვიდა შეჯიბრებიდან. პირველ საშუალო წონაში ზ. მაჭავარიანმა ქულებით წააგო ძლიერ მოსკოველთან — ვ. ბარანიკოვთან, ვ. ჯობავამ მეორე ქვესაშუალო წონაში — გ. ჩებურანოვთან (ესტონეთი), მძიმე წონაში რ. კოჩიევი დამარცხდა ე. საიდინიანთან, ნ. ამაშუკელი — ლიტველ მურაუსკასთან; ბრძოლის გაგრძელების უფლება მოიპოვეს ნ. ქიქავამ, რომელმაც მოუგო ჯერ სამსონოვს (რსფსრ), მერე ყირგიზელ საიდესიბაევს, ს. ჩატულიდიმ, რომელმაც დაამარცხა უკრაინელი კაშკინი, ო. ზებულაშვილმა — მოუგო ფ. ცირკელს (უკრაინა) და მ. აბულაძემ — აშკარა უპირატესობით ძლია ლიტველ უბერტს. მაგრამ მეორე დღეს ამ „კვარტეტიდან“ რინგს შემორჩა მხოლოდ ერთი — ნ. ქიქავა, რომელმაც მეოთხედფინალში აშკარა უპირატესობით მოუგო როიტმანს (ესტონეთი) და ახლა ხვდება ჩვენი ქვეყნის ჩემპიონს — ბელორუსელ ბოტვინიკს.

მდგომარეობა გამოასწორეს ველოსიპედისტებმა. ვაჟთა 100-კილომეტრიან გუნდურ რბოლაში საქართველოს გუნდმა მოიპოვა მეექვსე ადგილი.

ცურვაში შეჯიბრების დროს ადგილი ჰქონდა საინტერესო ამბებს. ვაჟთა შორის 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში ჯერ კიდევ წინასწარ გაცურვებში ყველასათვის მოულოდნელად თავი ისახელა 15 წლის ვ. კოსინსკიმ (რსფსრ). მან აჩვენა საუკეთესო დრო — 2.40,7 და დაამყარა ჭაბუკთა საკავშირო რეკორდი. ჩვენი გუნდის წევრი ი. ფუნიკოვი მეხუთე იყო — 2.44,4. ფინალში ყველა მონაწილემ გააუმჯობესა შედეგები: ფუნიკოვმა წინ წაიწია ერთი ადგილით, აჩვენა რა მაღალი შედეგი — 2.40,3, მაგრამ კუსინსკის დამარცხება მაინც ვერავინ შესძლო, მან ამჯერად დისტანცია დაამთავრა ახალი სარეკორდო შედეგით — 2.38,6.

კვლავ ცუდად გამოვდივართ მძლეოსნობაში და წყალში ხტომაში. ამ უკანასკნელში ჯერ არც ერთი ქულა არ დაუგროვებია ჩვენს გუნდს, ხოლო მძლეოსნობაში ლ. იევლევამ, რომლის დიდი იმედებიც გვქონდა, ვერ შეასრულა ჩასათვლელი ნორმატივი. ლატვიელმა ი. ლაცემ სიგრძეზე ხტომაში აჩვენა შედეგი 6 მ 15 სმ და გოგონათა შორის საკავშირო რეკორდი დაამყარა.

სპარტაკიადა გრძელდება...

ო. გელაშვილი

## გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 16 აგვისტოსათვის

I-X ადგილები

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 20 | 16 | 1 | 3 | 48:20 | 33 |
| ც ს კ ა | 20 | 13 | 3 | 4 | 55:28 | 29 |
| „დინამო“ (კიევი) | 20 | 12 | 5 | 3 | 41:19 | 29 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 20 | 9 | 8 | 3 | 35:23 | 26 |
| „ავანგარდი“ (ხარკოვი) | 20 | 10 | 6 | 4 | 22:15 | 26 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 20 | 10 | 5 | 5 | 38:21 | 25 |
| „დინამო“ (თბილისი) | 20 | 10 | 5 | 5 | 36:22 | 25 |
| „სპარტაკი“ (ერევანი) | 20 | 8 | 7 | 5 | 27:26 | 23 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 20 | 9 | 5 | 6 | 30:33 | 23 |
| ს კ ა (როსტოვი) | 20 | 9 | 4 | 7 | 39:22 | 22 |
| **XI-XXII ადგილები** | | | | | | |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 20 | 8 | 5 | 7 | 33:29 | 21 |
| „შახტიორი“ (სტალინო) | 20 | 7 | 5 | 8 | 22:23 | 19 |
| „კაირატი“ (ალმა-ატა) | 20 | 6 | 5 | 9 | 23:32 | 17 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 20 | 6 | 5 | 9 | 25:35 | 17 |
| „მოლდოვა“ (კიშინიოვი) | 20 | 6 | 4 | 10 | 30:35 | 16 |
| „ნეფტიანიკი“ (ბაქო) | 20 | 4 | 8 | 8 | 20:34 | 16 |
| „ტრუდი“ (ვორონეჟი) | 20 | 5 | 5 | 10 | 24:31 | 15 |
| „ადმირალტეეცი“ (ლენინგრადი) | 20 | 5 | 5 | 10 | 22:30 | 15 |
| „ბელარუსი“ (მინსკი) | 20 | 4 | 5 | 11 | 17:31 | 13 |
| „დაუგავა“ (რიგა) | 20 | 3 | 6 | 11 | 21:41 | 12 |
| „სპარტაკი“ (ვილნიუსი) | 20 | 3 | 5 | 12 | 18:46 | 11 |
| „კალევი“ (ტალინი) | 20 | 0 | 7 | 13 | 14:43 | 7 |

გუშინ შედგა ფეხბურთში „ა“ კლასის საკავშირო ჩემპიონატის ბოლო ორი მატჩი I ქვეჯგუფის გუნდებს შორის.

მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ გათამაშების ლიდერი — „ტორპედო“ (მოსკოვი) და „ავანგარდი“ (ხარკოვი). მატჩი მოიგეს ტორპედოელებმა — 2:1.

სტალინოში თამაშობდნენ ადგილობრივი „შახტიორი“ და როსტოვის არმიელთა გუნდი. შეხვედრა დამთავრდა დონბასელთა გამარჯვებით — 4:2.

• • •

დაიწყო გათამაშება „ა“ კლასის საკავშირო პირველობაზე ფეხბურთში იმ გუნდებისათვის, რომლებიც იბრძვიან XI-XXII ადგილებისათვის.

ბაქოს „ნეფტიანიკმა“ თავის მინდორზე მიიღო „მოლდოვა“ (კიშინიოვი). მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

## მინიმალური ანგარიშით

გუშინ თბილისში, „ბურევესტნიკის“ სტადიონზე შედგა მატჩი სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში. ამ საპატიო პრიზის ორგზის მფლობელი — მოსკოვის „ლოკომოტივი“ შეხვდა „ბ“ კლასის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს — ადგილობრივ თანაკლუბელებს.

უნდა ითქვას, ჩვენმა გუნდმა ძირითადად კარგად ჩაატარა მატჩი თავისი ძლიერი მეტოქის წინააღმდეგ, რომელიც საუკეთესო შემადგენლობით გამოდიოდა. მან აჩვენა არა მხოლოდ „შიშველი ენთუზიაზმი“ და თავგანწირვა, არამედ კომბინაციური თამაში, კარგი ურთიერთგაგება, შეთამაშება. მოსკოველთა კართან არაერთხელ შეიქმნა სახიფათო მომენტები, რომელთა გოლით დამთავრება შეეძლოთ ურთქმელიძეს, მუმლაძეს, აპრესიანსა და სხვებს, მაგრამ მათ ვერ შეძლეს მოეძებნათ გასაღები მასლაჩენკოს კარის ასაღებად. უკეთ რომ ვთქვათ, ისინი არაზუსტად, უმისამართოდ ურტყამდნენ ხელსაყრელი მდგომარეობიდანაც კი.

ერთადერთი გოლი, რომელიც მოსკოველებს სჭირდებოდათ გათამაშების შემდგომ ეტაპში გასასვლელად, გაიტანა გუნდის ვეტერანმა ვორონინმა თამაშის 25-ე წუთზე. ეს ანგარიში მოსკოვის რკინიგზელებმა შეინარჩუნეს მატჩის ბოლომდე.

• • •

კიდევ ორი მატჩი გაიმართა სსრ კავშირის თასზე ოსტატთა გუნდების მონაწილეობით.

ყაზანში ადგილობრივი „ისკრა“ დაამარცხა მოსკოვის „დინამომ“ — 8:0. კუიბიშევის „კრილია სოვეტოვმა“ მოუგო მინსკის „ბელარუსს“ — 1:0.

### პირველი დამარცხება საკუთარ მოედანზე

გუშინ ქუთაისში შედგა მორიგი მატჩი „ბ“ კლასის პირველობაზე ფეხბურთში მოკავშირე რესპუბლიკათა II ზონის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ტორპედო“ და კიროვობადის „ტექსტილშჩიკი“.

ანგარიში მეხუთე წუთზე გახსნეს სტუმრებმა მახმედოვის დარტყმის შემდეგ, რის შემდეგაც ინიციატივა მთლიანად გადავიდა მათ ხელში. პირველი ნახევრის 28-ე წუთზე იგივე მახმედოვმა ანგარიში ორამდე გაზარდა — 2:0. მხოლოდ მეორე ნახევრის ოცდამეათე წუთზე შეძლეს ქუთაისელებმა ერთი ბურთის გაქვითვა (ლ. ჟორდანია) — 1:2.

**ს**ააგენტო „ნოვოსტის" კორესპონდენტის 5 შეკითხვა სსრ კავშირის მძლეოსანთა ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელს გ. კორობკოვს.

ფეხბურთმა ყველა სპორტის მოყვარულის გული დაიმონა, მაგრამ მაინც ზევრს აღელვებს „სპორტის დედოფალი" — მძლეოსნობა. სასტარტო პისტოლეტი მეტოქეობას უწევს ფეხბურთის მსაჯის სასტვენს.

ამიტომ იყო, რომ „ნოვოსტის" სააგენტოს კორესპონდენტმა 5 შეკითხვით მიმართა ჩვენი ქვეყნის მძლეოსანთა ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელს გ. კორობკოვს.

— როგორ აფასებთ თქვენ აშშ-ს

# ● მათ მხოლოდ საპრიზო ადგილები ჭირდებათ ● ასე იყიდება ფეხბურთელები ინგლისში ● ჩვენი მძლეოსნები კვლავ განაცვიფრებენ მსოფლიოს



სურათზე: საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საუკეთესო მძლეოსანი ი. ტერ-ოვანესიანი.

**მძლეოსანთა ნაკრები გუნდის ტურნეს ევროპაში?**

— ამერიკელმა მძლეოსნებმა ევროპის კონტინენტზე ჩაატარეს ოთხი მატჩი, აქედან ერთი — სსრ კავშირის გუნდთან წააგეს, ხოლო დანარჩენი სამი — გფრ-სთან, დიდ ბრიტანეთთან და პოლონეთთან მოიგეს.

ამერიკელები არ ფარავდნენ, რომ მათი მთავარი მიზანი იყო სსრ კავშირის მძლეოსნებთან შეხვედრა. ეს მართალიცაა, „გიგანტების მატჩმა", როგორც მას ტრადიციულად უწოდებენ, დიდი ინტერესი გამოიწვია. დაძაბულ ბრძოლაში ჩვენმა სპორტსმენებმა მოიპოვეს დამაჯერებელი გამარჯვება — 179:163. საბჭოთა ქალებმა დაამარცხეს ამერიკელები, ხოლო ჩვენი ქვეყნის მძლეოსანმა ვაჟებმა წააგეს შეხვედრა 13 ქულის განსხვავებით. ამ საინტერესო შეხვედრის დაძაბულობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ აშშ-საბჭოთა კავშირის მძლეოსანთა მატჩის დროს დამყარებულ იქნა 6 მსოფლიო, 5 ევროპის, 6 სსრ კავშირის, 5 აშშ-ს რეკორდი. ამერიკელთა დანარჩენ შეხვედრებში მსგავსი მაღალი შედეგები არ იყო ნაჩვენები. საერთოდ, ევროპის ტურნეს დროს ამერიკელებმა ყველაზე საუკეთესო შედეგები აჩვენეს მოსკოვში. საერთოდ, ჩვენს ქვეყანაში ამერიკის გუნდი გამოვიდა ძალზე ძლიერად, განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ზანგი სპრინტერები.

**— კმაყოფილი ხართ თუ არა ჩვენი მძლეოსნების გამოსვლით?**

— რასაკვირველია. ჩვენი მძლეოსნები ძალზე კარგად გამოვიდნენ. მათ გამარჯვება მოიპოვეს ძლიერ მეტოქეებზე. უფრო დამაჯერებელი ანგარიშით, ვიდრე პირველ 2 მატჩში. მართალია, ჩვენს ვაჟებს შესაძლებლობა ჰქონდათ უკეთ გამოსულიყვნენ. ორი ნაღდი ქულა ჩვენ დავკარგეთ ტრავმის გამო, როცა შეხვედრის წინ იგი მიიღო უძლიერესმა ათჭიდელმა ვ. კუზნეცოვმა. შეჯიბრებაში მეორე ადგილი ამერიკელებს დაუთმეს ვ. სამოილოვმა (5.000 მ რბენა), ლ. ნაროდნიცკიმ (3.000 მეტრზე რბენა დაბრკოლებებით), ი. კრასოვსკისმა (ჭოკით ხტომა). ვ. სავინკოვს ყველა შესაძლებლობა ჰქონდა პირველზე თუ არა, მეორე ადგილზე მაინც გამოსულიყო, მაგრამ დისტანციაზე მას ორჯერ ჰკრა ხელი ამერიკელმა დიუპრიმ, რაც კინოფირზე ფიქსირებულია, ოლიმპიურმა ჩემპიონმა რ. შავლაყაძემ პირველსავე ცდაზე მხარი დაიზიანა და ვერ შეძლო მესამე ადგილისათვის ებრძოლა. ამგვარად, ჩვენ დავკარგეთ 7 „დაგეგმილი" ქულა. ყველაფერი ეს რომ არ მომხდარიყო, ჩვენს ვაჟებს შეეძლოთ მეტოქეთა დამარცხება. რაც შეეხება შეჯიბრების შედეგის გაყოფას ცალკე ვაჟებისა და ქალებისათვის, იგი ჩვენ მივიღეთ ამერიკელთა თხოვნის შემდეგ. ჩვენთან ვაჟთა და ქალთა შედეგების ასეთი დაყოფა არაა მიღებული. ოლიმპიურ პროგრამაში შედის 36 სახეობა და იგი არ იყოფა.

ჩვენ გავიხსენეთ 1957 წელი, როცა საბჭოთა მძლეოსნებმა მოიგეს მატჩი დიდ ბრიტანეთთან, თუმცა ინგლისური გაზეთები პირიქით წერდნენ. თურმე ისინი თვლიდნენ, რომ მათი გამარჯვებით დამთავრდა ვაჟთა შეჯიბრება საშუალო და გრძელ დისტანციებზე, ეს იყო მათი ვითომ გამარჯვების კოზირი.

**— რას მოველით ჩვენ სსრკ-აშშ-ს 1962 წლის მატჩში?**

— ახალ მსოფლიო რეკორდებს. რაც მთავარია, ახალ მეგობრულ კონტაქტებს ამ ორი ქვეყნის წარმომადგენლებს შორის.

ცხოვრებამ დაგვანახვა, რომ ორი ქვეყნის სპორტსმენთა შეხვედრებს დიდი წვლილის მოტანა შეუძლია ჩვენი და ამერიკის ხალხების ურთიერთდამოკიდებულების საქმეში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მომავალი წლის მატჩი, რომელიც პალო-ალტოში გაიმართება, უკეთ იქნება ორგანიზებული, ვიდრე იგი მოეწყო 1959 წელს ფილადელფიაში.

**— ჩვენი ქვეყნის ნაკრების რომელ წევრს შეუძლია წარმატებით გამოვიდეს მომავალ ოლიმპიურ თამაშებში?**

— რასაკვირველია, ვ. ბრუმელს, ი. ტერ-ოვანესიანს, ვ. სავინკოვს, ა. არტინიუკს. მაგრამ ვეტერანები თავიანთ პოზიციებს არ დათმობენ. 30 წლის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვ. ციბულენკომ თავისი ადგილი თითქოს უნდა დაუთმოს ახალგაზრდა მეტოქეებს, მაგრამ იგი მაღალ შედეგებს აჩვენებს შუბის ტყორცნაში [...] ახალგაზრდობას შეუძლია მისგან ბევრი რამ ისწავლოს. მე მჯერა, რომ მოკლე ხანში თავიანთ სიტყვას იტყვიან ჯერ კიდევ უცნობი ახალგაზრდა მძლეოსნები, მაგალითისათვის შეიძლება ავიღოთ ძალზე ახალგაზრდა გ. კლიმოვი, რომელიც ათჭიდში უკვე 7.000 ქულას აგროვებს, ამასთან კარგი შედეგები აქვს სიგრძეზე ხტომაში.

**— რომელი მსოფლიო რეკორდი შეიძლება გაუმჯობესდეს ახლო მომავალში?**

— მე შემიძლია დავასახელო მხოლოდ ერთი თარიღი — 2 ოქტომბერი. ამ დღეს თბილისში დაიწყება სსრ კავშირის ჩემპიონატი და ამ შეჯიბრებაზე ბევრმა რეკორდმა შეიძლება ფარ-ხმალი დაყაროს. მე მჯერა, რომ ვ. ბრუმელი, ტ. შჩელკანოვა, ვ. რუდენკოვი, ძმები პრესები, ი. ტერ-ოვანესიანი და სხვანი კვლავ განაცვიფრებენ მსოფლიოს მაღალი შედეგებით.

# ასეთია „სპორტის დედოფლის" პერსპექტივები

# დოპინგით გამარჯვებისაკენ

„დანიის ათი ველოსიპედისტიდან ცხრა რბოლის დროს ღებულობს დოპინგს".— განაცხადა დანიის ერთ-ერთმა უძლიერესმა მრბოლელმა 27 წლის დან ნილსენმა. მორიგი დიდი შეჯიბრების წინა შემოწმების დროს იგი შეეცადა ბუჩქებში გადაეგდო პატარა კოლოფი აბებით. ლაბორატორიულმა ანალიზმა ცხადყო, რომ თვითეულ აბში იყო 10 მილიგრამი ამფეტამინი, ალგზნების ეს მძლავრი საშუალება.

აბები, რომელიც გაიცემა ხოლმე მხოლოდ ექიმის მიწერილობით, გაკეთებული აღმოჩნდა ესპანეთში და შეიცავდა ამფეტამინის ორ დოზას.

როგორც „ნოვოსტის" პრესის სააგენტოს კორესპონდენტი გვაცნობებს, ნილსენმა განაცხადა, რომ ამფეტამინი მას არაერთხელ დაეხმარა მაღალი შედეგების ჩვენებაში, თუმცა შეჯიბრების შემდეგ, რომლის დროს მიღებული ჰქონდა დოპინგი, ეწყებოდა მტკივნეული კრუნჩხვები. ნილსენმა აბები მიიღო წარსულში საკმაოდ ცნობილი ველოსიპედისტისაგან, რომლის გვარის დასახელებაზე უარი განაცხადა.

„რასაკვირველია, — თქვა ნილსენმა, — ჩვენ ყველას გვესმის, თუ რა ზიანი მოაქვს დოპინგს ადამიანის ორგანიზმისათვის, მაგრამ ფულს ხომ დაკავებული ადგილის მიხედვით კვიხდიან. ჩვენი ღარიბული შემოსავლის გამო არავინ ფიქრობს ჯანმრთელობის შესახებ. დოპინგს უნდა ვებრძოლოთ, მაგრამ როგორ? ყველაზე მკაცრ კონტროლს სურვილისამებრ შეიძლება გვერდი აუარო. მენეჯერებს არ აინტერესებთ ჩვენი ჯანმრთელობა. მათ საპრიზო ადგილები სჭირდებათ და ამიტომ ისინი ფაქტიურად გვიბიძგებენ დოპინგის მიღებაზე. ხშირად შემოწმების დროს აბებს ვმალავდით ფეხსაცმელსა და ხელთათმანებში".

როგორც ცნობილია, დანიის ველოსიპედისტი კნუტ ენემარკ-იენსენი გარდაიცვალა ოლიმპიური რბოლის დროს რომში. შეიქმნა დოპინგის მიღების ეჭვი, მაგრამ დანიის ოლიმპიური გუნდის ხელმძღვანელობამ დაჟინებით განაცხადა, რომ ენემარკ იენსენი გარდაიცვალა მზის დაკვრისაგან.

„ნოვოსტის" პრესის სააგენტო.

# სპეკულანტები „მანჩესტერ სიტიდან"

„მანჩესტერ სიტი", ინგლისის პირველი ლიგის გუნდი, ამთავრებს მზადებას მორიგი ჩემპიონატისათვის. გუნდის ხელმძღვანელობა კმაყოფილია მარჯვე ფინანსური ოპერაციით, რომლის შემდეგაც მან ერთი ნახევარმცველი გაყიდა, ორი იყიდა და საკმაო თანხა მოიგო.

მიმომხილველები იუწყებიან, რომ ინგლისის ფეხბურთში ფეხს იკიდებენ უჩვეულო ვაჭრული ოპერაციები, რომელთაც აქ ადრე დიდი გასაქანი არ ჰქონდათ. „მანჩესტერ სიტიმ" 100 ათას გირვანქა სტერლინგად მიჰყიდა „ტორინოს" (იტალია) შოტლანდიის ნაკრების მოთამაშე ნახევარმცველი დენის ლოუ, სამაგიეროდ, შეიძინა ორი ნახევარმცველი — პიტერ დობინგი „ბლეკბერნ როვერსიდან" (35 ათას გირვანქა სტერლინგად) და ბობ კენედი შოტლანდიის კლუბ „კილმარნოკიდან" (45 ათას გირვანქა სტერლინგად).

„მანჩესტერ სიტი" მარტო არ არის. ინგლისის სხვა კლუბებიც ჩაებნენ იმ ფერხულში, რომელიც ასე დამახასიათებელი გახდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის. შეიძლება „ჩელსის", „ასტონ ვილას" და სხვა წამყვანი კლუბების დასახელება, რომლებიც უკანასკნელ ხანებში ხელს ითბობენ ფეხბურთელთა ყიდვა-გაყიდვით.

რედაქტორი Ო. ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐ.

# კალათბურთი



# სსრ კავშირის პირველობა

**20 აგვისტო**

**„დინამო"** **(თბილისი) — სკა (რიგა)**

დასაწყისი 19 ს. 30 წ.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-96.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 01111